სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 თებერვალი, 2025 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება N07-01/04

ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და საბჭოს სხდომის ოქმის (N07-02/01, 19.02.2025წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა

1. დამტკიცეს ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის თანდართული წესი **(N1 დანართი).**
2. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს (ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებების კოორდინატორებს), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

,,ბსუ-ს **მოკლევადიანი და სარეზიდენტო** პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 თებერვლის N07-01/04 გადაწყვეტილების

N1 დანართი

ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების **პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესი**

1. წინამდებარე წესი ადგენს ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების (ტრენინგ-კურსები/უწყვეტი პროფესიული განვითარების/სამედიცინო განათლების კურსები) და ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო, მოკლევადიანი გადამზადების და სუბსპეციალობის პროგრამების (**შემდეგში** - <u>მოკლევადიანი პროგრამა ან კურსი)</u> **პირველადი ბიუჯეტის/ხარჯთაღრიცხვის** (შემდეგში - ბიუჯეტის) შედგენის რეგულაციას.
2. ბსუ-ს <u>მოკლევადიანი პროგრამის/კურსის</u> განხორციელებამდე ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით მტკიცდება პროგრამის/კურსის ბიუჯეტი, პროგრამის/კურსის განხორციელების ინიციატორი ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის/დასაქმებულის ინიციატივით (წარმოსადგენი პროექტი უნდა შეთანხმდეს ბსუ-ს <u>საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან).</u>
3. ბსუ-ს მოკლევადიანი პროგრამის/კურსის **ბიუჯეტის პროექტში მითითებული უნდა იყოს:**
   3.1. **პროგრამის/კურსის განხორციელების/ჩატარების ფორმატი** (პირისპირ/დისტანციური/შერეული) **და ადგილი;**
   3.2. სწავლების/მეცადინეობის ფორმატი: ინდივიდუალური ან ჯგუფური (ჯგუფის მსმენელთა მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის მითითებით);
   3.3. პროგრამაზე სწავლის საფასური;
   3.4. პროგრამის/კურსის მოცულობა (კრედიტები) ან/და ხანგრძლივობა (საათები/დღე/თვე);
   3.5. პროგრამის განხორციელებისათვის **პირდაპირი ხარჯის (დანახარჯები)** ჩამონათვალი, **მათ შორის:**

ა) <u>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის</u> (ტრენერის/მასწავლებლის) შესასრულებელი საკონტაქტო საათების რაოდენობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა; ასევე <u>პროგრამის ხელმძღვანელის (ავტორის)</u> მიერ შესასრულებელი შრომითი დატვირთვა და შრომის ანაზღაურება (საათობრივი ან ერთჯერადი);

ბ) <u>პროგრამის დამხმარე პერსონალის მიერ შესასრულებელი საათების რაოდენობა/ შრომის ანაზღაურების ოდენობა</u> (მიმართულების/პროგრამის კოორდინატორი; პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის პერსონალი/სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ასისტენტი; სამართლებრივი მხარდაჭერის/აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით ასისტირების

განმახორციელებელი პირები; საჭიროების შემთხვევაში, ბსუ-ს სხვა დამხმარე პერსონალი (უნივერსიტეტის ადმინისტრაციული დამხმარე სტრუქტურული ერთეულების პერსონალის შემადგენლობიდან) ან განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში - სხვა მოწვეული პირები);

გ) სასწავლო პროცესისათვის განსაზღვრული სხვა ხარჯი (სასწავლო რესურსი, სერტიფიკატები ან სხვა);

3.6. **არაპირდაპირი დანახარჯები** - პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები **(პროგრამის შემოსავლის 20-40%)** განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის/კურსის ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, პროექტის ინიციატორის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით.

3.7. <u>არაპირდაპირი დანახარჯების (პროგრამის შემოსავლის 20-40%)</u> ოდენობის განსაზღვრისას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ხარჯი (სააკრედიტაციო/შესაბამისი განაცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი საფასური/მოსაკრებელი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ხარჯი).